



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №5

ქ. ბათუმი

2018 წლის 30 მარტი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს წ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დიმიტრი ჭეიშვილი | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ომარ მახარაძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ანზორ დევაძე | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე; |

ნატალია ძიძიგური	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	- საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	- საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	-საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	-საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	-საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	-საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	-საკრებულოს წევრი;
არ ესწრებოდნენ:	
ლაშა სირაბიძე	- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	- საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - თ. პეტრიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ლ. სურმანიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი- ა. ვანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი- ე. ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ-მ. მეტრეველი;
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი - ნათია აფხაზავა;
- შპს „ალმას“ წარმომადგენელი - ლევან ფხაკაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.
- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ს. თებიძე სხდომის მონაწილეებს მიესალმა და აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ ძმათა სასაფლაოს მიაზარეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, საოკუპაციო რეჟიმის მსხვერპლი, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმცროსი სერჟანტი არჩილ ტატუნაშვილი. მან საკრებულოს წევრებს სთხოვა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ ოკუპირებულ ცხინვალში გარდაცვლილ არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანამე)

4. „ბათუმის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანამე)

5. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული
დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი),
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

6. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული
დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი),
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

7. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული
დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი),
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და
ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომამე)

9. „შპს „ალმასთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და
ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომამე)

10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ არჩილ ტატუნაშვილის შესახებ აღნიშნა, რომ მას წარმოდგენილი ჰქონდა საკითხი ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩას დარქმეოდა არჩილ ტატუნაშვილის სახელი, ამ ინიციატივით მიმართა საკრებულოს აპარატს უახლოეს სხდომაზე განსახილველად. საკითხი დარეგისტრირდა პროცედურული ნორმების სრული დაცვით, მაგრამ არგუმენტი ვერ მოისმინა, თუ რატომ არ შეიტანა ბიურომ დღის წესრიგში, გამომდინარე აქედან იყენებს მინიჭებულ უფლებამოსილებას და საკითხის დღის წესრიგში შეტანა მოითხოვა.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივის სახელოვანი მამულიშვილის არჩილ ტატუნაშვილის სახელის უკვდავსაყოფად ქუჩის სახელდების ნაწილის შესახებ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია მოახსენებს შემდეგს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ნაწილში ვკითხულობთ, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის, (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამის შემდეგ არსებობს 2016 წლის 16 სექტემბრის მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვით არის ყველა ის პროცედურული წესები ზუსტად გაწერილი, თუ როგორ უნდა მოხდეს ქუჩის, სკვერის თუ პარკის სახელდება. საუბარია, რომ ინიციატივა განხილული უნდა იქნეს შესაბამის კომისიაში. 10 სამუშაო დღეში თანდართულ დოკუმენტებთან ერთად იგზავნება სამთავრობო კომისიაში და სამთავრობო კომისიიდან თანხმობის მიღების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულების სახით იღებს გადაწყვეტილებას გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ. გამომდინარე აქედან წარმოდგენილი ინიციატივა ვერ იქნებოდა ვერც ბიუროსა და ვერც საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილი, განსხვავებული პროცედურის გამო.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის ხელმძღვანელის მოსაზრება მოსმენილი იქნა, მაგრამ ინიციატივა კომისიაში არ განხილულა, რაც შეეხება განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას, სამწუხაროდ, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე წინააღმდეგ მისცა ხმა. მოქმედი კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, კომისიის უარყოფითი დასკვნა არ არის საფუძველი იმისა, რომ საკითხი არ დაემატოს დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ მას არ მიაჩნია საქართველოში მცხოვრები მოქალაქე და არა მარტო საქართველოში, ვინც არ გამოხს ოკუპაციას და ძალადობას, მაგრამ ათიოდე დღის წინ ყველა ოპოზიციური პარტიის მიერ მიღებულ რეზოლუციას, პარტია „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ არ მოაწერა ხელი არც

საქართველოს პარლამენტში, არც აჭარის უმაღლეს საბჭოში, ამიტომ ფრაქციას ურჩია პოლიტიკური ქულების დაწერისთვის თავის შეკავება. მისი მუშაობის პერიოდში არასდროს არ იქნება ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიმღები. ასევე საკითხი დგას არა ქუჩის სახელის მინიჭებაზე, არამედ ქუჩის სახელის გადარქმევაზე. ოთხ დღეში ამ საკითხის მოკვლევა და გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდებოდა. განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას გაკეთებული აქვს შუალედური დასკვნა. გამოიკითხებიან შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლები, გრიბოდოვის ქუჩის მაცხოვრებლები, შემთხვევით შერჩეული პიროვნებები და საკითხის ღრმად შესწავლის შემდეგ კომისია მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგში ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ინიციატივის დამატება - ბათუმში ერთ-ერთ ცენტრალური ალექსანდრე გრიბოდოვის ქუჩის სახელის შეცვლა და არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭება, დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ა. დევაძე, ი. თოფურიძე, ი. მიქელაძე,
მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე,
რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე, ლ. ანთაძე)

წინააღმდეგი - 13

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ა. დევაძე, ი. თოფურიძე, ი. მიქელაძე,
მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 6 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე,
რ. ზოიძე, ლ. ანთაძე)

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ საკრებულო სამწუხარო გადაწყვეტილების წინაშე დგას, საკითხი პოლიტიკაზე და პარტიაზე მაღლა დგას, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარე რაღაც პოლიტიკური განცხადებით შემოიფარგლა. ასევე წინა სხდომაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიმართვის პროექტსაც უმრავლესობამ წინააღმდეგ მისცა ხმა, იმიტომ რომ ვერ გაბედეს ოკუპანტის წინააღმდეგ ხელის აწევა. მეორე საკითხი, როცა პარლამენტის რეზოლუციაზე საუბრობთ, იქნებ გაიხსენოთ მანამდე წინ რა უძლოდა, პრემიერ-მინისტრის სამარცხვინო ოკუპანტ სახელმწიფოსთვის მიწერილი წერილი. დღეს ერთი მხრივ, საუბრობთ იმ საკითხზე, რომ ყველა მომხრეა, კვლევის ჩატარების შემდეგ, როცა გასულ საკრებულოს სხდომაზე 6 მაისის პარკისთვის სახელის შეცვლისას კვლევა არ იყო საჭირო. დღეს კი ბათუმის საკრებულოს უმრავლესობამ წარმოდგენილ ინიციატივაზე არ ისურვა მსჯელობა.

საკრებულოს წევრმა ი. პატარიძემ აღნიშნა, რომ განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას მიაჩნია, რომ ბათუმში უნდა არსებობდეს

არჩილ ტატუნაშვილის სახელობის ქუჩა, მაგრამ მიზანშეწონილად არ მიაჩნია წარმოდგენილი სახით საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე, ვინაიდან კომისიის უმრავლესობის აზრით აუცილებელია შეხვედრა გრიბოედოვის ქუჩის მაცხოვრებლებთან და საზოგადოების აზრის გათვალისწინება.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ აღმშენებლობაში ქვეყნას ევროპა ჩვენს გვერდში ედგა, დღესაც ყველა დიდი პროექტის განხორციელებაში დახმარებას აწვდის. ის ინიციატივით შემოდის, რომ ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას ევროპელი მწერლის სახელი.

საკრებულოს წევრმა ი. პატარიძემ მიმართა რ. თავართქილაძეს და აღნიშნა, რომ კომისიის დღის წესრიგში იდგა საკითხი და დაფიქსირდა მოსაზრებები, სამწუხაროდ ბათუმში უსახელო ქუჩები არაა, კომისიამ ერთხმად აღიარა, რომ ბათუმში გაჩნდეს ალექსანდრე დიუმას და ბალზაკის, ასევე ბუმბერაზი კლასიკოსების სახელი, მაგრამ უსახელო ქუჩის არ არსებობის გამო დღის წესრიგში მოცემულ ეტაპზე საკითხი არ იქნა შეტანილი.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დელფინარიუმის წინ მდებარე მშენებლობის შესახებ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 15-20 თებერვლიდან იმ ტერიტორიაზე ხორციელდებოდა უკანონო მშენებლობა, 1 მარტს მერისგან მიღებული იქნა პასუხი, რომ არანაირი სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობდა, მხოლოდ გეოლოგიური სამუშაოების გარდა. დოკუმენტების საფუძველზე გეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 25 აგვისტომდე და არა 1 მარტს. ამის გარდა 1 მარტს კომპანიამ შემოიტანა განაცხადი ნებართვაზე, რომელიც გაიცა 5 მარტს. კორუფციასთან დაკავშირებული ეჭვები გამოჩნდა, რადგან ორ დღეში დამუშავებულ მნიშვნელოვან დოკუმენტში იყო ხარვეზები, აღნიშნული ობიექტი მოხვედრილი არის კულტურული ობიექტის დაცვის ზონაში, კერძოდ დელფინარიუმის შენობიდან მისი დაშორება 150 მეტრზე ნაკლებია და პირველ ეტაპზე აუცილებლად სჭირდებოდა ნებართვა ძეგლთა დაცვის სააგენტოდან. დოკუმენტი, რომელსაც ეყრდნობა აღნიშნული ნებართვა ეს არის მიწის ნაკვეთი, სამშენებლოდ გამოყოფის პირობები, აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია სიმაღლე 41 სართული + 1 სართული ავტოსადგომი. ნებართვა გაიცა ნაწილობრივ, ორ სართულიან პარკინგზე, პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთ სართულზეა საუბარი. რაც შეეხება სიმაღლეს, 14 მარტს მერმა ბრძანა, რომ მან არ იცის რა შენდება და რა სიმაღლის. სანებართვო დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შენდება 173 მეტრის 54 სართულიანი შენობა. რისთვის დასჭირდა ყოველგვარი ნორმების დარღვევით ნებართვის გაცემა თუ არა კორუფციული გარიგება. მან მოითხოვა როგორც საკრებულოს წევრებისგან, მერიის მაკონტროლებელი ორგანოებისგან შეიქმნას კომისია და გამოძიებული იქნას არასწორად, დაჩქარებულად ნებართვის გაცემა, რაც საფუძველია იმისა, რომ მერის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ბათუმის მერისგან მოსმენილი იქნას განმარტებები და შემდგომ შეიქმნას კომისია.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ მიმართა მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ კახაბრის ტერიტორიაზე, პირველ შესახვევში არხები არის გაუწმენდავი, რომელიც ვერ იტევს წვიმის შედეგად მოსულ ნალექს, ამიტომ მიაქციოთ ყურადღება.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ სამწუხარო ფაქტია, რომ უმრავლესობა თავს იჭერს ტატუნაშვილის სახელის დარქმევაზე, სირცხვილია საკრებულოს გადაწყვეტილება. ასევე მან მერიის მიმართ გამოხატა, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემა დადგენილ ვადაში არ ხდება, მხოლოდ არქიტექტურის სამსახურს გადაუხადა მადლობა დროული მოწოდებისათვის.

საკრებულოს წევრმა ნ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ეხება სენსიტიურ საკითხს, ბოლო პერიოდში ხშირად ისმის: საზოგადოება სუსტია, არ იცის, განათლების დაბალი დონეა და ა. შ. თითოეული ჩვენგანი ამ საზოგადოების ნაწილია და მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოების აზრი და მისი სიძლიერე. მას სტკივა გული უზნეო ხუმრობებზე, როდესაც იხოცებიან ახალგაზრდები მშვიდობიან პერიოდში, როდესაც ვერ ჩადის სოხუმში მისი წინაპრების სასაფლაოს მოსანახულებლად. ის ფიქრობს, რომ ყველას ასევე სტკივა გული. საზოგადოებას აქვს სული, მორალი და ზნეობა, მეგობრობა, სიყვარული, თანადგომა. გააჩნია ისტორია კულტურა, ტრადიციები, ადათ-წესები და მას შეუძლია პატრიოტიზმი, სამშობლოს და ქვეყნის სიყვარული. ამიტომ საზოგადოების დაკნინება, ან მის სიძლიერეში ეჭვის შეტანა არ იქნება მართებული.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებშიემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება. ასევე, გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით; ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის თანხა, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული ოპტიმიზაციის, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების და ელექტრონული ტენდერების შედეგად დაფიქსირებული ეკონომიების ხარჯზე გათვალისწინებული ახალი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება. მათ შორის: დაგეგმილია საბავშვო ბაღის აღმზრდელების, აღმზრდელის თანამშემწეების და ტექნიკური პერსონალის ხელფასების დამატებით ზრდა ახალი სასწავლო წლიდან თანამდებობრივი სარგოს 20%-მდე (აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღების თანამშრომლები მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან უკვე ღებულობენ 20 %-ით მეტ ხელფასს და სექტემბრის თვიდან დაგეგმილია დამატებითი ზრდა);

2018 წლის 1 ივლისიდან დაგეგმილია ასევე შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტში" დასაქმებული მძღოლების შრომის ანაზღაურების გაზრდა (საათში 0,50 ლარის ოდენობით 6,25 ლარამდე);

დაგეგმილია მერიაში და მერიის დაქვემდებარებულ უწყებებში შენობების სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები; ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება სტრუქტურული ოპტიმიზაციის ფარგლებში ახლად დაფუძნებული ორი იურიდიული პირის დაფინანსება: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო, ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო;

დაგეგმილია არსებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსების გაზრდა მოსახლეობის ფაქტიური საჭიროებების გათვალისწინებით;

გათვალისწინებული იქნება ჯანმრთელობის დაცვის ახალი ქვეპროგრამა: თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის;

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-იანი შეღავათებით მასწავლებლებთან ერთად ისარგებლებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები, რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში; გათვალისწინებული იქნება დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ მოსახლეობას (უპირატესად მოწყვლად ჯგუფებს) დაუფინანსდებათ შრომის ანაზღაურების ნაწილი 8 თვის განმავლობაში, თვეში 200 ლარის ოდენობით, არაუმეტეს 30%-ისა;

ბათუმის ისტორიული განაშენიანების ზონაში ეზოების განვითარების მხარდაჭერის მიზნით მოხდება ეზოების ეკონომიკური პოტენციალის კვლევა, სახასიათო ეზოების შერჩევა, დაინტერესებული მოსახლეობის დახმარება ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. ბიზნეს გეგმების შედგენა და მათი განხორციელებისათვის ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაპროექტება. ასევე დაპროექტებული სამუშაოების თანადაფინანსება 10000 ლარის ფარგლებში.

დაგეგმილია ლადო ასათიანის ქუჩა №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის მე-2 ეტაპი - ყინულის სასახლის მიმდებარედ მშენებარე სპორტული კომპლექსის მიმდებარედ ავტოსადგომის მოწყობა 139 ავტომობილზე. დაიწყება აკ. ვახტანგ შამილაძისა და ლადო ასათიანის ქუჩების კეთილმოწყობა.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გარდამავალი ფულადი სახსრების ნაშთი;

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავრთქილაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილებების დროს საკრებულოს სხდომას უნდა ესწრებოდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, წინა სხდომაზეც დაისვა კითხვა საბავშვო ბაღის თანამშრომლების ხელფასის მატებასთან დაკავშირებით, დღეს ძალიან მოხარულია და დადებითად აფასებს ხელფასების ზრდას. ასევე დასვა შეკითხვა ეზოების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით ბიუჯეტით 10 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კანონმდებლობის მიხედვით აღმზრდელის შრომის ანაზღაურების ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო საქართველოს დადგენილებით, თუმცა ესაჭიროებოდა საბიუჯეტო რესურსები. ბათუმში ისტორიული განაშენიანების ზონაში ეზოების განვითარების მხარდაჭერის მიზნით მოხდება ტენდერის საფუძველზე, პირველ შემთხვევაში შერ-

ჩეული კომპანია შეისწავლის ეზოებს, შეარჩევს სახასიათო ეზოებს, სამუშაოებს განახორციელებს მოსახლეობასთან, მოახდენს დატრენინგებას, ბიზნეს-გეგმის შესწავლას. მეორე ეტაპზე სხვა კომპანია, რომელიც ტენდერის საფუძველზე შეირჩევა, განახორციელებს ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს და სხვა სამუშაოებს.

საკრებულოს წევრი ა. მამულაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ამ წელში ტარდება სამი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება, ყველა სპორტის სახეობას უდიდეს პატივს სცემს, რადგან ყოფილი სპორტსმენია. მაგრამ გულისტკენას გამოხატავს, რომ ქართულ ჭიდაობას არ ექცევა სათანადო ყურადღება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მერია გეგმავს და მუშაობს დაფინანსების ისეთ მოდელზე, სადაც პრიორიტეტი და განმსაზღვრელი იქნება სპორტის სფერო და ბავშვები. სამომავლოდ დაფინანსდება ბავშვები და ყველა მუნიციპალური კლუბი, თუმცა შეიძლება იყოს კერძო კლუბიც, დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება ბავშვთა რაოდენობის მიხედვით, ვაუჩერით ან სხვა ფორმით. აქედან გამომდინარე სპორტის ყველა სახეობა, დაინტერესების და მოთხოვნის საფუძველზე დაფინანსდება.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვები, კერძოდ: ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით აინტერესებს, რომ პრიორიტეტების დოკუმენტით გაწერილია გოდერძის ალპურ ბაღში შიდა გზებისა და ბილიკების მოწყობის სამუშაოები, ხის სახლის მშენებლობა, მეფუტკრის სახლის მშენებლობა, რომელიც ბათუმის ბიუჯეტითაა გაწერილი. როგორც ცნობილია შიდა პროდუქტით საქართველოს ეკონომიკა 120-ე ადგილზეა ანუ ღარიბი ქვეყანაა, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია, პლაჟი 1 ლარადაა გადაცემული. ასევე დასვა შეკითხვები: საბაგიროს დემონტაჟის თაობაზე, ა(ა)იპი „ადამიანები მოქმედებაში“ ორგანიზაციის შესახებ, შპს ბათუმის ავტოტრანსპორტის სუბსიდირების გაზრდის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ გოდერძის ალპურ ბაღში

მშენებლობის პროექტი ფინანსდება არა საბიუჯეტო სახსრებით, არამედ ბოტანიკური ბაღის სახსრებით და გრანტის საფუძველზე, რომელიც მიიღო 200 ათასი ლარის ოდენობით. საბაგირო დემონტაჟის თაობაზე განმარტა, რომ იგეგმება ახალი საბაგიროს მშენებლობა, საბაგირო მერიის საკუთრებაა და დემონტაჟიც მერიამ უნდა განახორციელოს. ა(ა)იპი „ადამიანები მოქმედებაში“, რომელზეც არის 3100 ლარი გამოყოფილი კონკრეტული ორგანიზაციის სუბსიდირებაა, რომელიც ეწევა სოციალურ მეწარმეობას, დასაქმებული არიან შშმ პირები, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა ნივთებს. ამ ორგანიზაციას მოპოვებული აქვს გრანტი და თანადაფინანსების ნაწილში ესაჭიროება მცირე დაფინანსება. ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია მერიას, რომ ამ ორგანიზაციის დაფინანსება გათვალისწინებული ყოფილიყო ბიუჯეტში. რაც შეეხება ავტოტრანსპორტის სუბსიდირების საკითხს, დაკავშირებულია მძღოლების შრომის ანაზღაურების გაზრდასთან, სუბსიდირება ჯამში 8 მილიონს აღემატება, მიმდინარეობს ოპტიმიზაცია, საკრებულოს გასულ სხდომაზე იქნა შემოთავაზება და საკრებულომ მიიღო ორგანიზაციის შემოსავლის გაზრდის მიზნით ძველი თბილისის მოედნის ტერიტორია, რომელიც ცალკე პარკირების ტერიტორიად განისაზღვრა. მიმდინარეობს სამარშრუტო ქსელების ოპტიმიზაციაზე მუშაობა. ავტოტრანსპორტი და ავტობუსების სფერო არის ეკონომიკის რეგულირებადი სფერო, სადაც ტარიფი საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულია 30 თეთრის ოდენობით, რის გამოც ეს ორგანიზაცია ვერ იქნება მომგებიანი.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ განაცხადა, რომ ბაღების ხელფასების გაზრდას მიესალმება, მაგრამ პრიორიტეტი არის არასწორად შერჩეული და თანხები იხარჯება არასწორად.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1(ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 4 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე, ლ. ანთაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის №26 დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი აქტივების ჩამოწერასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების დაზუსტება და ქონების ჩამოწერის ახალი ფორმების დამტკიცება. პროექტის მიხედვით ცვლილება შედის დადგენილების მე-4 დანართით დამტკიცებული ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებულ ფორმებში, რომელიც ყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ:

- ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ღირებულების დადგენის აქტი;
- ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი;
- ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის შედეგის გამოთვლა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ა. დევაძე, ბ. გოგოტიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საგინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე M3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას დამატებით შეღავათებით ისარგებლებენ: საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში და რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს – 0,15 ლარი; წარმოდგენილი პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე სავარაუდო ზეგავლენა 13230 ლარია, რომელიც დაიფარება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირების“ ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში. წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე M3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრობისას 0.15 ლარიანი შეღავათით ისარგებლებენ, გარდა პედაგოგებისა ისარგებლებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში და რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს. პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდნენ: 5 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ა. დევაძე, ი. თოფურიძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

4. „ბათუმის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 13 ივლისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“ შორის ხელი მოეწერა ბათუმის ავტობუსების პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ ეკოლოგიურად სუფთა და ადაპტირებული ავტობუსების შეძენას. ასევე, 2017 წლის 13 ივლისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ხელი მოეწერა პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების მოწესრიგებას.

ბათუმის ავტობუსების პროექტის შემადგენელი ნაწილია შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ კორპორატიული განვითარების პროგრამის და საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმის მომზადება და განხორციელება, რომელსაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 20 სექტემბრის №1291-III დადგენილებით რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, გრანტის სახით აფინანსებს 209,950 ევროს ფარგლებში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, შესაბამისად, ბათუმის ავტობუსების პროექტის ფარგლებში, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ კორპორატიული განვითარების პროგრამის და საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმის მომზადებისა და განხორციელების მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) აღებული იქნას გრანტი 209,950 ევროს ოდენობით;

ა ზ რ ი

გ ა მ თ ე ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის შესყიდვის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ბათუმის ავტობუსების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ბათუმის მუნიციპალური ავტოპარკის განახლებას – შპს „ ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ ეკოლოგიურად სუფთა და ადაპტირებული ავტობუსების შეძენას, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით (EBRD) მიმდინარეობს. ავტობუსები გააუმჯობესებს მომსახურებას, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე, ტურისტებისთვის ტრანსპორტის მუ-

შაობის სანდოობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის კუთხით. ამავდროულად, დაცავს გარემოს ნამწვი აირების ემისიის შემცირების გზით. ახალი დაბალძირიანი ავტობუსები ადაპტირებული იქნება, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ასევე მარტივად გამოსაყენებელი იქნება საბავშვო ეტლებით მოსარგებლე მშობლებისა და ხანდაზმული მოქალაქეებისთვის. არსებული პარკის ავტობუსები, არის ევრო 2 და ევრო 3 დიზელის, ახალი ავტობუსები რომლის შეძენაც იგეგმება, არის ევრო 5 დიზელის სტანდარტის, რომელიც გაცილებით ეკოლოგიურად სუფთაა. მომავალში ელექტროავტობუსების შეძენაცაა დაგეგმილი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებთემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 3 (ა. დევამე, ი. თოფურიძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

5. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი), უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა მოქალაქე ჰუმანგ ნიკმანეშმა და

მოითხოვა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი საპროექტი ქუჩებისა და გზების დაგეგმარების მიზნით დამტკიცებული ძირითადი გზების რუკის ნაწილში ცვლილების შეტანა, აღნიშნულზე წერილობითი განმარტება წარმოადგინა ასევე შპს „აჭარსპეცპროექტმა“, რომლის თანახმად დაგეგმარების პროცესში მოქალაქე ჰუმანგ ნიკმანეშის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მოხდა იმ ნაკვეთებს შორის, რომელზედაც გადის საპროექტო გზა, შესაბამისად ნაკვეთი რჩება გამოუსადეგარი. ამ ეტაპზე არის საშუალება გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

ზემოაღნიშნული ცვლილების მიზანია „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის (ქალაქთმშენებლობითი) სხვა დოკუმენტაციის დამტკიცების წესის თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში - მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საინჟინრო ნაწილის ძირითადი გზებისა და ქუჩების, მათ შორის საპროექტო გზებისა და ქუჩების ნაწილში ცვლილების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 3 (ა. დევამე, მ. ართმელაძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

6. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი), უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე დადგენილების შესაბამისად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა - 3 (სსზ-3) წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, სადაც წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე უნდა განისაზღვროს 12 მეტრით; ამ ზონაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლის შემცირება 15 მეტრიდან 12 მეტრომდე ხელს შეუწყობს ძველი ბათუმის ტერიტორიის განაშენიანებას პროცესების უკეთესი მიმართულებით განვითარების უზრუნველყოფას.

საკითხის საჯარო განხილვის პროცესში გამოიკვეთა, რომ წინამდებარე და-

დგენილებაში საჭიროა განხორციელდეს კიდევ ერთი ცვლილების შეტანა, საკითხი ეხება სპეციალური ზონალური შეთანხმების მიზნით გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ცნობილია მიწის ნაკვეთების განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის (კ-2) გაზრდა მაქსიმუმ 60%-ზე მეტად შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იქნებოდა შესაბამისი შუამდგომლობის წერილი, მასზედ, რომ საინვესტიციო პროექტის განხორციელება განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია ქალაქთშენებლობითი, გეგმარებითი, საზოგადოებრივი, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, თავდაცვითი, კულტურული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით შესაძლებელია კ2 კოეფიციენტის მნიშვნელობის გაზრდა შეუზღუდავად. ასეთ შემთხვევაში სპეციალური (ზონალური) შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება ხდებოდა საერთო წესების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოების ურთიერთშეთანხმებით მიზნაშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ მიწის ნაკვეთების განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის (კ-2) გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

7. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) თაობაზე“ ქალაქ ბათუ-მის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი), უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) მიზნით განკარგულების მიღების თაობაზე განკარგულება

ითვალისწინებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იმ ნაწილისათვის გარკვეული ზონების დადგენას, რომელიც წარმოდგენს ქალაქის ისტორიულ ნაწილს.

საჯარო წარმოების შემდეგ დადგინდა, რომ საჭიროა მოხდეს შპს „გის და დბ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ წარმოდგენილი ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების საზღვრების კორექტირება (რაც ასახულია წარდგენილ დანართში), კერძოდ განხორციელებული კორექტირებით ქ. ბათუმის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვრის საწყისი წერტილი ემთხვევა ლერმონტოვის ქუჩის, დელფინარიუმის მიმდებარე ტერიტორიისა და რუსთაველის ქუჩის გადაკვეთას, საზღვარი მიყვება ნურიგელის ტბის მიმდებარე ტერიტორიას მელიქიშვილის ქუჩამდე, მელიქიშვილის ქუჩა ფარნავაზ მეფის ქუჩის გადაკვეთამდე, ფარნავაზ მეფის ქუჩა 26 მაისის ქუჩის გადაკვეთამდე, 26 მაისის ქუჩა ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთამდე, ჭავჭავაძის ქუჩა წერეთლის ქუჩის გადაკვეთამდე, წერეთლის ქუჩა ბერიძის ქუჩის გადაკვეთამდე, ბერიძის ქუჩა ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთამდე, ჭავჭავაძის ქუჩა მის ღერძზე მდებარე ზღვის სანაპირო ზოლის გადაკვეთამდე, სანაპირო ზღვის ზოლი საზღვაო ვაგზის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით გოგებაშვილის ქუჩამდე, გოგებაშვილის ქუჩა სასტუმრო რედისონის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით ნონეშვილის ქუჩის გადაკვეთამდე, ნინოშვილის ქუჩა შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე, რუსთაველის ქუჩა დელფინარიუმის მიმდებარე ტერიტორიის გადაკვეთამდე.

ქ. ბათუმის განაშენიანების რეგულირების ზონის საზღვრის საწყისი წერტილი ემთხვევა მელიქიშვილისა და ფარნავაზ მეფის ქუჩის გადაკვეთას, მელიქიშვილის ქუჩა პუშკინის ქუჩის გადაკვეთამდე, პუშკინის ქუჩა ბერიძის ქუჩის გადაკვეთამდე, ბერიძის ქუჩა წერეთლის ქუჩის გადაკვეთამდე, წერეთლის ქუჩა შავშეთის ქუჩის გადაკვეთამდე, შავშეთის ქუჩა სარკინიგზო ლიანდაგების გაყოლებით გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე, გოგებაშვილის ქუჩა ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთამდე და შემდგომ მიყვება ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვარს მელიქიშვილისა და ფარნავაზ მეფის ქუჩის გადაკვეთამდე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეხიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 5 (დ. მამულაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე, რ. ზოიძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 13⁰⁰სთ.

სხდომა განახლდა 14⁰⁰სთ.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ევარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებებს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება.

თავის მხრივ, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი, ხოლო პრივატიზაციის გეგმა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის საფუძველზე შედგენილი გეგმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტის დასახელების, მდებარეობის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, აუქციონის ფორმის (უპირობო ან პირობებიანი), აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას და პრივატიზაციის გეგმას.

ა ზ რ ი

გ ა მ თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ პრივატიზაციის გეგმაში უკეთესი იქნებოდა გაწერილიყო მიახლოებითი პირობები, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კანონმდებლობის თანახმად, საკრებულო ამტკიცებს მხოლოდ პირობიანი თუ უპირობო აუქციონის ფორმას, რაც შეეხება პირობებს, მის შედგენას და საბოლოო სახით რედაქციას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ი. თოფურიძე, მ. ართმელაძე,
ნ. დუმბაძე, დ. მამულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა 4 (მ. ქამადაძე, რ. ზოიძე,
ლ. ანთაძე, რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

9. „შპს „ალმასთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის
სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მოიჯარე - შპს „ალმა“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017 წლის 19 დეკემბერს წარმოდგენილი N18/12ვ წერილით (N34674/25) ითხოვს მხარეთა შორის დადებული 2005 წლის 26 აგვისტოს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებასა და 2008 წლის 08 მაისის „თვითმმართველ ქალაქ ბათუმის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის შესახებ“ ხელშეკრულების (შეტანილია ცვლილებები 2014 წლის 16 ივნისის შეთანხმების აქტით, ასევე 2016-2017 წლებში გაფორმებული შეთანხმებებით) მოქმედების ვადის გაგრძელებას 20 წლით და სანაცვლოდ შემდეგი საინვესტიციო ვალდებულებების აღებას: 2018 წლის განმავლობაში უზრუნველყოს მის მიერ განთავსებული 50 მოსაცდელის (ძველი) ქარხნული წესით დამზადებული თანამედროვე ტიპის მოსაცდელებით ჩანაცვლება, ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 20 მოსაცდელის ახლით ჩანაცვლება, თითოეულ მოსაცდელზე არანაკლებ 20000,0 ლარის ინვესტიციის განხორციელება, ამასთანავე გათვალისწინებულ იქნას ყოველ 5 წელიწადში საიჯარო ქირის გადახედვა იმ დროისათვის არსებული საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ ბათუმის მთავრობის 2004 წლის 07 დეკემბრის N13 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო პროგრამის 3.4. პუნქტის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია შევიდეს ცვლილებები საიჯარო ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების ვადა გაგრძელდეს 10 წლით - 2035 წლის 31 დეკემბრამდე, ამასთანავე შპს „ალმა“-ს მიერ შემოთავაზებული პირობების შესაბამისად დადგინდეს მოიჯარის ახალი საინვესტიციო ვალდებულებები.

ქალაქ ბათუმის მთავრობასა და შპს „მაცნე“-ს შორის 2005 წლის 26 აგვისტოს დადებულ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებასა და ქ. ბათუმის მერიასა და შპს „მაცნე+“-ს შორის 2008 წლის 08 მაისს დადებული „თვითმმართველ ქალაქ ბათუმის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებაში (დღევანდელი მოიჯარე შპს „ალმა“) ცვლილებების შეტანა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

შპს „ალმას“ წარმომადგენელმა ლევან ფხაკაძემ აღნიშნა, რომ 2016 წლიდან კომპანია შეიძინეს შპს „ფერტუნა მედიისგან“, რომელსაც გაფორმებული ჰქონდა ბათუმის მერიასთან ხელშეკრულება მოსაცდელების განთავსებაზე, სადაც გათვალისწინებული იყო 100 მოსაცდელის მონტაჟი, რომელთაგანაც 50 იყო დამონტაჟებული. შპს „ალმა“ ვისოლ ჯგუფის შვილობილი კომპანიაა, ქვეყნის მასშტაბით 1300-ზე მეტი მოსაცდელი აქვს დამონტაჟებული. დღევანდელი მოთხოვნა კი შემდეგია: 50 მოსაცდელის დიზაინი შეთანხმებულია ქ. ბათუმის არქიტექტურის სამსახურთან. მზადაა ქალაქში დამონტაჟებული 50 მოსაცდელი შეცვალოს ახალი ტიპის მოსაცდელებით. ასევე მზადაა სრულად აიღონ მოსაცდელების ხარჯები, დამატებით გადაიხადოს საიჯარო ქირა დღევანდელი საბაზრო ფასიდან გამომდინარე. მან წარმოდგენილი განკარგულების საფუძველზე მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 10 წლით 2035 წლის 31 დეკემბრამდე.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა მოსაცდელის ზომებთან დაკავშირებით, რომ დიზაინი მოსაწონია, მაგრამ სკამები პატარა ზომისაა, რაზედაც ლ. ფხაკაძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია დიზაინის პოზიტიურად აღქმა, დიზაინი მერიის არქიტექტურის სამსახურმა შეიმუშავა. რაც შეეხება ზომებს, ეს არის საერთაშორისო სტანდარტი, თუმცა ეს არ არის დოგმა.

საკრებულოს წევრმა ი. პატარიძემ დასვა შეკითხვა, ბათუმი, როგორც ტურისტული ქალაქი, მოსაცდელებში რის დადგმა იგეგმება? რაზედაც ლ. ფხაკაძემ აღნიშნა, რომ მოსაცდელები აღჭურვილი იქნება ელექტროსაათით და ტელეფონის დამტენით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (დ. მახარაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 23 მარტს N9865/25 წერილით მომართა შპს „ხიდი-2006“-მა, რომელსაც 20 წლიანი იჯარით სარგებლობაში გადაცემული აქვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩა N34-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 05.23.04.020, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 1924 კვ.მეტრი, შენობა-ნაგებობები 1416,70 კვ.მ.) ნაწილი, კერძოდ - 350 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 350 კვ.მ. საზღვაო პირის ნაგებობა, რომელზეც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოწყობილია და ფუნქციონირებს რესტორანი („სან-რემო“). ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა განსაზღვრულია 3 600 (სამი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალიუტაში. წერილში აღნიშნულია, რომ კომპანია გეგმავს მნიშვნელოვანი ინვესტიციის (საერთო ჯამში 7000000,00 ლარი) განხორციელებას, კერძოდ რესტორან „სან-რემოს“ გაფართოვება-რეკონსტრუქციას და მისი მიმდებარე ტერიტორიის განვითარებას - სეზონურად თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე საზაფხულო ღამის კლუბების განთავსებასა და ტურისტული კომპლექსის მომხმარებლებისათვის სპეციალური სერვისის (ნალექიან ამინდში სტუმრის ობიექტამდე მიცილება) მოწყობას, რისთვისაც ითხოვს 49 წლის (2067 წლამდე) ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოთ ხსენებული რუსთაველის ქ. N34-ში მდებარე N05.23.04.020 უძრავი ქონება მთლიანად (1924 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1416,70 კვ.მ. შენობა-ნაგებობები), ამასთანავე მის მიმდებარედ ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 4728,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.04.611), 4486,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.04.617); 9,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.04.615) და

პარკირებისათვის ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 289,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.04.618).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თვლის, რომ აღნიშნული პროექტის (ინვესტიციების) განხორციელება ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას ქალაქ ბათუმში და მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „ხიდი-2006“-ს 49 წლის (2067 წლის 31 დეკემბრამდე) ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N34-ში მდებარე N05.23.04.020 უძრავი ქონება მთლიანად (1924 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 1416,70 კვ.მ. შენობა-ნაგებობებით) და ამავე ტერიტორიაზე ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 4728,0 ვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.04.611), 4486,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.04.617); 9,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.04.615) და ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 289,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.04.618). მითითებული ქონების წლიური სარგებლობის საფასური საერთო ჯამში განისაზღვროს 57705,00 (ორმოცდრვიდმეტი ათას შვიდასხუთი) ლარის ოდენობით. შპს „ხიდი-2006“-სათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, რუს-თაველის ქ. N34-ში მდებარე 1924 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული 1416,70 კვ.მ. შენობა-ნაგებობებით (საკადასტრო კოდი: N05.23.04.020) და ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 4728,0 ვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.23.04.611), 4486,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.23.04.617); 9,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.23.04.615) და ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 289,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.23.04.618) იჯარის უფლებით სარგებლობაში პირობებით გადაცემა. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 57705,00 ლარის შეტანა. გამომდინარე აქედან, კომისიის სხდომაზე განკარგულების პროექტი წარმოდგენილი იყო ხარვეზით, გამორჩენილი იყო პარკირებისთვის მიწის ნაკვეთის მონაცემები და შესაბამისად კორექტირებული ვარიანტია წარმოდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (დ. ჭეიშვილი, დ. მახარაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა -1 (ნ.ძიმიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

